თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4277084

ნომერი: AR1641620

თარიღი : 02.11.2018

გაცემის თარიღი : 26.11.2018

გაცნობის თარიღი : 26.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 28 , (ნაკვეთი N8/20);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალი ბადიროვი პ/ნ 01027047652
- თბილისი ვარკეთილი 3 IV მ/რ კორ. 423 ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 02 ნოემბერს №AR1641620 განცხადებით მომართა ალი ბადიროვმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის

26 ივნისის №4036388 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ხოშარაულის ქუჩა N 28-ში, (ნაკვეთი N8/20), შპს "გრეით ჰაუსი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.13.05.008.020), მრავალფუნქციური ობიექტის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე, საბავშვო ბაღი) არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 26.06.2018 წ-დან 26.06.2021 წ-ის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 02 ოქტომბრის №4196835 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 16280.52 კვ.მ, საოფისე ფართობად 3483.44 კვ.მ, კომერციულ ფართობად 4297.45 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 3800.42 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3679.03 კვ.მ, დამხმარე ფართობად 3437.59 კვ.მ, საერთო ფართობად 44949.69 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს: დამხმარე ფართობად 3437.59 კვ.მ-ის ნაცვლად 453.0 კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 3679.03 კვ.მ-ის ნაცვლად 6663.62 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 453.0 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 6663.62 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4036388 და 2018 წლის 02 ოქტომბრის №4196835 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.